

ნინო ღამბაშიძე

თბილისის ივ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,
თბილისი

nino.ghambashidze@tsc.edu.ge

თამარ ციციშვილი

თბილისის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,
თბილისი

t.tsitsishvili@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: როგნედა ღამბაშიძე, ტექნიკური ტერმინოლოგია.

როგნედა ღამბაშიძე – ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი

„მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ტერმინოლოგიის პრობლემების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენათმეცნიერების თეორიული და პრაქტიკული საკითხების გასარკვევად“ (ღამბაშიძე, 1986, 3). ამ ძალზე თანადროული სიტყვებით იწყება როგნედა ღამბაშიძის მონოგრაფია „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, რომლის მცირე ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნაშრომი პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც ეძღვნება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ძირითად პრობლემებს. წიგნში მოცემულია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია, მისი შემდგომი განვითარების გზები და ძირითადი ლინგვისტიკურ-მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნასა და განვითარებას ჩვენში“ (ღამბაშიძე, 1986, 3). ამ ფუნდამენტურ ნაშრომს მრავალი წლის დაუღალავი შრომა და კვლევა-ძიება უძღოდა წინ. ავტორის ღვაწლი ქართული „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ შექმნის საქმეში გიორგი ნიკოლაძის პრემიით დაჯილდოვდა. ამ ჯილდოს გარკვეული სენტიმენტები ახლავს, რომლის შესახებ შეიძლება საჯაროდ არც იყოს ცნობილი.

როგნედა ღამბაშიძე დაიბადა 1922 წელს ზესტაფონში ბიძინა ღამბაშიძისა და ნინო გვასალიას ოჯახში. მამის მხრიდან როგნედა ღამბაშიძე დიდი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის,

ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორის, აკაკი წერეთლის მოძღვრის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის შვილთაშვილი იყო. დავითის ერთ-ერთი ვაჟი იყო ცნობილი ქართველი ექიმი, საქართველოში ბავშვთა კურორტოლოგიის დამფუძნებელი, ვახტანგ ღამბაშიძე, რომლის სიძეც, ქალიშვილის მეუღლე, გახლდათ გიორგი ნიკოლაძე.

იმდროინდელი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო როგნედა ღამბაშიძესაც სირთულეებით სავსე ცხოვრება ჰქონდა. მამა 1937 წელს იმერეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, 1946 წელს კი ასპირანტურა. 1946-1953 წწ. მუშაობდა პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, მოგვიანებით კი ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას. 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას უძღვებოდა.

1943 წელს როგნედა ღამბაშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, 1946 წელს კი ასპირანტურა. 1946-1953 წწ. მუშაობდა პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, მოგვიანებით კი ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას. 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას უძღვებოდა.

როგორც მიხეილ ჭაბაშვილი აღნიშნავს: „რ. ღამბაშიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ერთია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობა, მეორე – ქართული დიალექტოლოგიის კვლევა“. 40 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით, რედაქტორობით და მისი განყოფილების, მართლაც რომ გამორჩეული თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით 35 სამეცნიერო ტერმინოლოგია შეიქმნა (ჭაბაშვილი 1994:187-188).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინგილოური ლექსიკონი, რომელიც მისი დიდი შრომის შედეგია. პირველი ცდა ინგილოური ლექსიკონის შედგენისა (993 სიტყვა) ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, მოსე ჯანაშვილს. 1943-44 წწ. ვარლამ თოფურიამ და აკაკი შანიძემ გრიგოლ იმნაიშვილსა და როგნედა ღამბაშიძეს დაავალეს ინგილოურის ენობრივი და ლექსიკური თავისებურებების მეცნიერული შესწავლა. ამ კვლევის საფუძველზე ორივე მეცნიერმა საკანდიდატო ნაშრომები შექმნა. 1966 წელს გრ. იმნაიშვილმა გამოაქვეყნა საკანდიდატო ნაშრომი, რომელშიც ის ინგილოური დიალექტის სრულ

ენობრივ თავისებურებებს განიხილავს. თავისი ლექსიკონის შესავალში რ. ღამბაშიძე აღნიშნავს, რომ მან ლექსიკონის გამოცემისას გაითვალისწინა მ. ჯანაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, გრ. იმნაიშვილის, ნ. როსტიაშვილის და მის ხელთ არსებული ყველა ტექსტობრივი მასალა. „ინგილოური კილო იმ ქართულ კილოთაგანია, რომელიც უცხო ენის გარემოშია მოქცეული და, სხვა ქართულ კილოთაგან მოწყვეტის გამო, ისეთი ცვლილებანი განიცადა საუკუნეების განმავლობაში, რომ მეტად დაშორდა სალიტერატურო ქართულსა და სხვა აღმოსავლურ ცოცხალ კილოებს. მართალია, ფერეიდნული ქართული კილოც (სპარსეთში) უცხო ენის გარემოშია მოქცეული სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ აბა რა შედარებაა ინგილოურთან! ინგილოური ტექსტების გასაგებად ხშირად თარგმანია საჭირო“ (ღამბაშიძე 1988, 5), – წერს ლექსიკონის რედაქტორი აკაკი შანიძე, რომელიც წლების მანძილზე სისტემატურად ადევნებდა თვალს ქალბატონი როგნედას ამ საქმიანობას. სწორედ ინგილოური კილოს სირთულის გამო როგნედამ შეისწავლა იგი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის მივლინებით, იგი წლების განმავლობაში ჩადიოდა საინგილოში და დაუღალავად შრომობდა. ამ უაღრესად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეს თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა. ერთხელ მისი სიძის, აკად. გიორგი ციციშვილის, ოჯახში ახალგაზრდა ინგილო სტუმრობდა და, როდესაც იქ მყოფი როგნედა დაინახა, აღფრთოვანება ვერ დამალა, როგორ თქვენც იცნობთ ამ ქალბატონსო? მთელი ბავშვობა მახსოვს, როგორ პატივს სცემდნენ და უყვარდათ ჩვენთან საინგილოში, იმ დიდი შრომისა და დამსახურებისათვის, რასაც ის იმ მძიმე წლებში აკეთებდაო. აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ ხსენებული ლექსიკონი „ამკარად გამოირჩევა სხვა ამგვარი ნაშრომებისგან. მისი დიდი ღირსებაა სიტყვების საილუსტრაციო მასალა, სიტყვების დამოწმება ფრაზაში და სხვა დიალექტების მოყვანა შესადარებლად. ზმნური ფორმები საილუსტრაციო მასალაში მოყვანილია სერიებისა და მწკრივების მიხედვით, რაც აადვილებს მათ ფორმებში გარკვევას.“

ხაზგასასმელია როგნედა ღამბაშიძის ქართული ენის სატელევიზიო გაკვეთილები, რომლებიც საქართველოს უცხოენოვანი მოქალაქეებისთვის იყო განკუთვნილი. იგი ავტორია „ქართული ენის თვითმასწავლებლისა“. დარგის შესწავლაში გაწეული ღვაწლის გამო, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მას მიენიჭა არნოლდ ჩიქობავას პრემია.

ჩვენთვის, როგნედა ღამბაშიძის ძმიშვილისა და დისშვილებისთვის, ნიშანდობლივი იყო არნოლდ ჩიქობავას, მისი მეუღლე თამარისა და ქეთევან ლომთათიძისადმი მისი პატივისცემა, სიყვარული, რომელიც ღრმად ორმხრივი იყო. შორიდანაც საცნაური იყო მათი მხრიდან მისი დაფასება. კვირაში ერთხელ მას აუცილებლად უნდა ევახშმა ჩიქობავების ოჯახთან ერთად. ქალბატონი თამარიც ხშირად ურეკავდა და მოიკითხავდა ხოლმე როგნედას დედასა და დებს. როგნედას, აგრეთვე უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა ქალბატონ ქეთევან ლომთათიძის მთელ ოჯახთან. როგნედა ღამბაშიძე იყო ძალზე მოკრძალებული, ბრძენი, სიკეთით, და ერთგულებით გამორჩეული, ასევე საოცრად ენამახვილი ადამიანი. სადაც ის გამოჩნდებოდა, იქ იყო იმედი, სიხარული, დაცულობის განცდა, ჰყავდა უამრავი, ერთგული მეგობარი და ძალზე დატვირთული ცხოვრების გრაფიკის მიუხედავად, დროს ყოველთვის პოულობდა ახლობლებისათვის და ყველას გაჭირვების ტალკვესი იყო. მეგობრებთან, უმეტესწილად, ძალიან გვიან, საღამოს 10-11 საათზე, მიდიოდა ხოლმე. ყოველთვის მიკვირდა (ნ.ღ.), რატომ ხდებოდა ასე. დღეს ვხვდები, რომ ის შრომას დიდ დროს უთმობდა და, ამხელა დატვირთვის მიუხედავად, სრულფასოვან, ღირსეულ მეგობრობასაც ახერხებდა. მას საუკეთესო მეგობრები ჰყავდა და მათგანაც, მათი ოჯახის წევრებისგანაც დიდ სიყვარულს იღებდა მეგობრები ხუმრობდნენ: თითოეულ ჩვენგანს ჰგონია, რომ ყველაზე ახლო მეგობარი ვარო. ყველას გულის მესაიდუმლე იყო. შეიძლება, ვინც არ იცნობდა როგნედას, არ დაიჯეროს, რომ ადამიანს ამდენი უახლოესი მეგობარი ჰყავდეს – ანა კალანდაძე (როდესაც ანას იუბილე იყო, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მას როგნედასათვის ხელი ჰქონდა ჩაკიდებული, ჩემ გვერდით უნდა იყო), ნუგეშა მაყაშვილი, ქეთევან დადიანი, ირა ციტაიშვილი, ირა და ლილი ასათიანები და ლეო გაბუნია (კვირაში ერთი დღე იქ უნდა ყოფილიყო), ვერა აიდაროვა, ელისო აბრამიშვილი, თინა შარაშენიძე, თინა აბზიანიძე, თეო ჩხეიძე, ქეთევან ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა (უფროსი), რუსუდან გაგუა, ივანე გიგინეიშვილი და ნუნუ საყვარელიძე, მიხეილ ჭაბაშვილი და ბეატრისა საბაშვილი, ინგა ჯიბუტი და კიდევ ბევრი სხვა. მათი შვილები დღესაც ძალზე თბილად იხსენებენ იმ ურთიერთობებს, რომლებშიც გაიზარდნენ და როგნედას იუმორს. ვერა აიდაროვა იხსენებდა, რომ 40 დღე შვილის გარდაცვალება როგნედამ გადამატანინაო. როგნედა ღამბაშიძე იყო ბატონ გრიგოლ კიკნაძისა და ქალბატონ დარეჯან რამიშვილის, როგორც იმ დროს

უწოდებდნენ, საღამოების, ეგრეთ წოდებული სალონის, ვიწრო წრის წევრი (რომელიც სულ რამდენიმე კაცისაგან შედგებოდა).

არ შეგვიძლია, არ გავიხსენოთ „ანაობები“, რომლებიც წლის ერთ-ერთი მოვლენა იყო. ყოველი ანაობის შემდეგ უნდა მოგვესმინა, იქ რა ხდებოდა და მთელი ცხოვრება ვნატრობდით იქ ყოფნას.

როგნედა ღამბაშიძე ტექნიკურ ტერმინოლოგიაზე არჩილ ძიძიგურთან ერთად მუშაობდა. ბატონი არჩილი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა მას და ხაზს უსვამდა როგნედას დიდ წვლილს ლექსიკონის შედგენის საქმეში. რედაქტორი კი რაფიელ დვალი გახლდათ, რომლის მეუღლე დედით ღამბაშიძე იყო. ბატონი რაფიელი და როგნედა შეხუმრებულები იყვნენ ერთმანეთთან. აღსანიშნავია ვანო კილურაძესთან მისი თანამშრომლობა, რომელიც მეგობრობაში გადაიზარდა. როგნედა მას ხშირად დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა ხოლმე. როგორც ცნობილია, ახალგაზრდა როგნედა ღამბაშიძეს ტერმინოლოგიის განყოფილება ვუკოლ ბერიძის შემდეგ მიანდეს, ბერიძეების ოჯახთანაც (ბატონ ვუკოლთან და ბატონ ვახტანგთან) მთელი სიცოცხლე ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

ჩვენ ძალიან დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ტერმინოლოგიის დღევანდელ განყოფილებას. ადამიანის ღვაწლის, პიროვნების ამგვარი გულწრფელი დაფასება და მისი საქმის ასე გულმხურვალედ გაგრძელება დიდი იშვიათობაა დღეს ჩვენში. ერთი ადამიანი იხსენებდა, არ ვიცნობდი როგნედა ღამბაშიძეს, არც მისი გარდაცვალების ამბავი ვიცოდი. მის განყოფილებაში რაღაც საქმეზე ვიყავი მისული. თანამშრომლები ისე საუბრობდნენ ქალბატონ როგნედაზე, რომ ვიკითხე, არ შეიძლება პირადად მისი ნახვაო? ტერმინოლოგიის განყოფილებამ (ხელმძღვანელი ღია ქაროსანიძე) 2014 წელს ტერმინოლოგიის კონფერენცია როგნედა ღამბაშიძის ხსოვნას მიუძღვნა.

უკვე ბოლო დღეებს ითვლიდა. ტკივილები ჰქონდა, მაგრამ გამალებული მუშაობდა. გაისმა ტელეფონის ზარი. ყურმილის მეორე მხრიდან იკითხეს მისი მდგომარეობის შესახებ. როგნედას დამ, ლეილა, უპასუხა, ცუდადააო. პირველად ვნახე (ნ.დ.) როგნედა გაბრაზებული, სანამ ცოცხალი ვარ, კარგად ვარო, – მიუგო თავის დას. ამგვარად, მან არა მარტო ფასდაუდებელი ნაღვაწი დაგვიტოვა ქართული ენის შესწავლისა და შენარჩუნების საქმეში, არამედ ზნეობისა და ღირსების მაგალითებიც.

ლიტერატურა

ღამბაშიძე 1986 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

ღამბაშიძე 1988 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი.

ჭაბაშვილი 1994 – მიხეილ ჭაბაშვილი, როგნედა ღამბაშიძე, მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია).

Nino Ghambashidze

Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatory, Tbilisi
nino.ghambashidze@tsc.edu.ge

Tamar Tsitsishvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Tbilisi
t.tsitsishvili@yahoo.com

Keywords: Rogneda Ghambashidze, Technical Terminology.

Rogneda Ghambashidze – Some Episodes from Her Life and Work

Summary

In the present paper, we once again recall the life and contribution of the famous terminologist Rogneda Ghambashidze (1922-1992). We will try to introduce relatively unknown episodes and sides of her personality, biography and activity to the general public. We'll show the family environment in which she was raised and, perhaps, that led to her professional choice. We would like to remember her relationships and the stories associated with them. We will touch upon her lexicological activity.